საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ნიკოლოზ მარსაგიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის N1/53 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 19 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ნიკოლოზ მარსაგიშვილი, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისირების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ნიკოლოზ მარსაგიშვილს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 94 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 94%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/75 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2024 წლის 1 აგვისტოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით ნიკოლოზ მარსაგიშვილი შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება - ნიკოლოზ მარსაგიშვილი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ტრისტან ბენაშვილი

1 აგვისტო, 2024 წელი